მიღებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''
2021 წლის 3 დეკემბრის დამფუძნებელ სხდომაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქციის
,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა''

წ ე ს დ ე ბ ა

1. ზოგადი დებულება

1.1 ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' წარმოადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების ნებაყოფლობით გაერთიანებას, მასში გაერთიანება ფრაქციის თანხმობის საფუძველზე შეუძლია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნებისმიერ წევრს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ფრაქციის წევრი

2.1 ფრაქციის წევრობა შეუძლია საკრებულოს ნებისმიერ წევრს, რომელიც არ არის გაერთიანებული საკრებულოს რომელიმე ფრაქციაში, რომლის თაობაზეც წერილობით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს.

2.2 ფრაქციაში წევრის მიღების ან ფრაქციიდან გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა.

2.3 ფრაქციის წევრები სარგებლობენ საქართველოს კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

3. ფრაქციის სხდომა

3.1 ფრაქციის სხდომა მოიწვევა თვეში ერთხელ მაინც.

3.2 ფრაქციის სხდომას იწვევს ფრაქციის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის ნებისმიერი წევრის მოთხოვნის საფუძველზე, ასეთი მოთხოვნის წერილობითი ფორმით წარდგენიდან 5 დღის ვადაში.

3.3 სხდომის დღის წესრიგში საკითხის შეტანა შეუძლია ფრაქციის ნებისმიერ წევრს.

3.4 ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა ნახევარზე მეტი.

3.5 ფრაქციის სხდომა გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სრული შემადგენლობის უმრავლესობით.

4. ფრაქციის ხელმძღვანელები

4.1 ფრაქცია თავის შემადგენლობიდან ირჩევს და ათავისუფლებს ფრაქციის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის მოადგილეებს;

4.2 ფრაქციის თავმჯდომარისა ან/და თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის ნებისმიერ წევრს.

4.3 ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში ფრაქციის თავმჯდომარისა ან/და თავმჯდომარის მოადგილის გათავისუფლების საკითხის შეტანის უფლება აქვს ფრაქციის ნებისმიერ წევრს.

4.4 ფრაქციის თავმჯდომარე და მოადგილეები სარგებლობენ კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილებით;

4.5 ფრაქციის თავმჯდომარის შვებულების, მივლინების ან სხვა მიზეზით უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის დროს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესასრულებლად დადგენილია თავმჯდომარის მოადგილეთა რიგითობა, რომლის სია, დანართი N1 სახით, თან ერთვის წინამდებარე წესდებას და წარმოადგენს მის ნაწილს.

4.6 ფრაქციის თავმჯდომარის შვებულების, მივლინების ან სხვა მიზეზით უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის დროს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს წინამდებარე წესდების **4.5 მუხლით** გათვალისწინებულ დანართში აღნიშნული თავმჯდომარის მოადგილეთა სიაში რიგით პირველი, თუ არც ამ მოადგილეს შეუძლია, ამ დროს განახორციელოს თავმჯდომარის უფლებამოსილება შვებულების, მივლინების ან სხვა მიზეზით, თავმჯდომარის მოვალეობას ასრულებს სიაში აღნიშნული რიგით მეორე მოადგილე.

4.7 სხვა პირებთან ურთიერთობისას ფრაქციას წარმოადგენს ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

5. ფრაქციის მიერ გადაწყვეტილების მიღება

5.1 ფრაქციის სხდომა, სრული შემადგენლობის უმრავლესობით, უფლებამოსილია მისი კომპეტენციის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის საკრებულოში სამართლებრივი აქტის ინიცირების თაობაზე, ფრაქციის წესდებაში ცვლილებების შესახებ, საკრებულოს არჩევით თანამდებობაზე კანდიდატ(ებ)ის წარდგენის საკითხზე.

ფრაქციის წევრები:

1. ირაკლი ნადირაძე .....
2. სოფიო ჯაფარიძე .....
3. თორნიკე ბიკაშვილი .....
4. ანა გოგოლაძე .....
5. ირაკლი ეძგვერაძე .....
6. ლილე ლიპარტელიანი .....
7. მამუკა გუგეშაშვილი .....
8. მიხეილ კაკაურიძე .....

9. ნინო კვიტაიშვილი .....

10. შოთა გრიგოლია .....

11. გიორგი ონიანი .....

12. ბარბარა ჯიმელი სულაშვილი .....

13. ზვიად კუპრავა .....

დანართი 1:

ფრაქციის წესდების 4.5 და 4.6 მუხლების შესაბამისად, ფრაქციის თავმჯდომარის შვებულების, მივლინების ან სხვა მიზეზით უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის დროს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებაზე დადგენილი ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეთა რიგითობა:

I - სოფიო ჯაფარიძე;

II - თორნიკე ბიკაშვილი.

ერთიანი
ნაციონალური
მოძრაობა